ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4725443

ნომერი: AR1713404

თარიღი : 17.10.2019

გაცემის თარიღი : 25.10.2019

გაცნობის თარიღი : 25.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შავიშვილი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- ოფისი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სერგო გიორგაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 37001058879

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1780.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1152.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8090.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7721.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 369.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
1.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არ დგინდება დამკვეთისა და განმცხადებლის უფლებამოსილება. დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს მესაკუთრე ან მოსარგებლე, რომელსაც გააჩნია სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამდასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობაც). ასევე, წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში შპს მონოლით ჯგუფის თანხმობა.
2.წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის სტანდარტული ვადა;
დ)შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

3.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: მიუთითეთ მიწის ნაკვეთის ფართობის სწორი მაჩვენებელი;

4.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : დამატებით წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა და სადემონტაჟო შენობის ნახაზები;

5.საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციული დასკვნა, დემონტაჟის პროცესში მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის შესახებ;

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.